

ქართველური ხარისხის ფორმათა წარმოების ზოგი თავისებურებისათვის

ავტორი მერაბ ჩუხუა

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი,

საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8

E-mail: merab.chukhua@tsu.ge / mchukhua@yahoo.com

ანოტაცია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარისხის ფორმათა წარმოების გაცილებით რთული სისტემის მოშლის ტენდენცია ქართველურ ენებში გამოწვეულია ხარისხის გრამატიკული კატეგორიის მრავალფეროვანი ენობრივი სისტემის გამარტივების საერთო ტენდენციით. ქართველური ქვესისტემებიდან გამარტივების ერთიანი პროცესი ყველაზე მეტად ქართულს შეეხო, სადაც უცვლელად ძველი ქართულიდან დღემდე მხოლოდ სამწევროვანი სისტემა ფუნქციონირებს.

შესავალი

ქართველურ ენა-კილოებში ვითარებით ზედსართავ სახელს ჩვეულებრივ ეწარმოება ხარისხის ფორმები, რომლებიც ძირეულთან მიმართებით მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატავენ საგნის ნიშან-თვისებას: **დიდი - უდიდესი, მოდილო; თეთრი - უთეთრესი, მოთეთრო**. ეს ფორმები ერთმანეთის მიმართ ხარისხის ფორმებია. ძირეულ ფორმას (დიდი, თეთრი) დადებითი ჰქვია, მისგან წარმოქმნილებს კი - თანაბრობითი, უფროობითი, ოდნაობითი, შედარებითი, აღმატებითი. ქართულში შედარებითი ხარისხის ფორმას აწარმოებს **უ - ეს** თავსართ-ბოლოსართი და აღნიშნავს თვისებას მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი: დიდ-ი - **უ-დიდ-ეს-ი**, მა-ღალ-ი - **უ-მაღლ-ეს-ი**. ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელია **მო- -ო** თავსართ-ბოლოსართი და გამოხატავს თვისებას ნაკლები ოდენობით: დიდ-ი - **მო-დიდ-ო**, თეთრ-ი - **მო-თეთრ-ო**...

ზოგიერთ ვითარებით ზედსართავს არ ეწარმოება ხარისხის ფორმები (მაგ., კოჭლი), ზოგს მხოლოდ ოდნაობითი ეწარმოება (თბილი - **მო-თბ-ო**), ზოგსაც - მხოლოდ შედარებითი (წმინდა - **უ-წმინდ-ეს-ი**). განსხვავებით ზანურ-სვანურისაგან, ქართულში შედარებითი ხარისხის ფორმები ეწარმოება ზოგიერთ წარმოქმნილ და რთულ ზედსართავსაც: **ჰკვ-იან-ი / უ-ჰკვი-ან-ეს-ი**; **ძლ-იერ-ი / უ-ძლიერ-ეს-ი**...

ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ცალკეული პარაგრაფების მიხედვით საკმაოდ დაწვრილებით განვიხილავთ საერთოქართველური წარმომავლობის ხარისხის წარმოებისა და გენეზისის პრობლემურ საკითხებს.

ძირითადი ნაწილი

§1. აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად საერთოქართველურში, სვანური მონაცემის გათვალისწინებით, *მა- ე პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება აღდგება, რასაც, შესაძლებელია, ზანური ენის მეგრულ დიალექტში ერთადერთ რელიქტად შემორჩენილმა მაგალითმა დაუჭიროს მხარი. ჩვენი დაკვირვებით, ასეთ ბედნიერ გამონაკლისად უნდა ვაღიაროთ მო-ტოლუ-ა ფორმა მეგრულში. შინაარსით მო-ტოლუ-ა აღნიშნავს *სწორუპოვარს, აღმატებულს, ყველაზე მეტს*. ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულია მყარი შესიტყვება: „ირფელიმ//ირკოჩიმ მო-ტოლუ-ა რენ“ – ყველაფერზე (ყველა კაცზე, ადამიანზე) უმეტესია. მოცემული სიტყვის ფორმალური ანალიზით, ზედსართავი სახელის დადებით (ნეიტრალურ) ფორმად (ფუძედ) ტოლუ გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად ჩადგება მსგავსი აგებულების -უ დაბოლოებიან ზედსართავ სახელთა რიგში: შხუ „მსხვილი“, თითხუ „თხელი“, ჭირკუ „წვილ-კენკროვანი“... ხოლო გამონაწევრებული მო- ა კონფიქსი კი გამოიყოფოდა აღმატებითი ხარისხის ნიშნად, რაც კანონზომიერი მორფო-ფონეტიკური შესატყვისი იქნებოდა რთული შედგენილობის სვანური მა- ე მარკერისა აღმატებითი ხარისხის ზედსართავებში, შდრ. ბგერათშესატყვისობა სვან. ა : ზან. ო, სვან. ე : ზან. ა... ფაქტია, აღმატებითი ხარისხის გამომხატველი ეს ერთადერთი ფორმაც მყარი გამონათქვამების წყალობით შემოგვენახა, თუმცა აქ გამოყოფილი მო- ა კონფიქსის მიხედვით ადვილად აღდგებოდა ის რეალური ვითარება, რაც ისტორიულად დამახასიათებელი იყო მეგრული მორფოლოგიისათვის. ანალოგიის წესით რეკონსტრუირ-დება თეორიულად შესაძლებელი შემდეგი ენობრივი ფორმები: შხუ „მსხვილი“ - *მო-შხუ-ა „ყველაზე მსხვილი“, თითხუ „თხელი“ - *მო-თითხუ-ა „ყველაზე თხელი“, ჭირკუ „წვილ-კენკროვანი“ - *მო-ჭირკუ-ა „ყველაზე წვილ-კენკროვანი“ და ა. შ.

ამასთან, ქართული ენის თუშურ დიალექტში -ოდ ნაწილაკს ორი ურთიერთგანსხვავებული ფუნქცია აღმოაჩნდება. არსებით სახელებთან იგი სალიტერატურო ენის „-ც“ ნაწილაკის როლს ასრულებს: კაცი-ოდ = კაცი-ც, ხოლო ზედსართავებში ხარისხის ფორმას აწარმოებს: შავი-ოდ „ყველაზე შავი“... შეიძლება გავიზიაროთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ისტორიულად ისინი სხვადასხვა წარმომავლობისაა და ერთ- ერთი მათგანი -ოდ-ე ნაწილაკისგან მომდინარეობს – კაცი-ოდ-ე → კაცი-ოდ „კაციც“ [ქავთარამე 1954]. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე ფუნქცია, ხარისხის ფორმის გამოხატვა, რაც უნიკალური ჩანს თუშურში, საერთოქართველური წარმომავლობისაა და მას პარალელი ეძებნება სხვა ქართველურ ქვესისტემაში, კერძოდ, ზანური (კოლხური) ენის მეგრულ დიალექტში ერთადერთ ნიმუშში (ჯერჯერობით) გამოვლინდა თუშ. -ოდ- (←*-ოდ-ე) მორფემის ზუსტი ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისი -უდ-ე / ← -უდ-ა სუფიქსის სახით, შდრ. მეგრ. შხუ „მსხვილი“, მაგრამ შხუდე // შხუდა (←*შხუ-უდ-ა) „მომსხო“...

§2. უფროობითობის -ილ სუფიქსისათვის სვანურში და მისი ზანური შესატყვისი. ქართველოლოგიურ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში თითქმის სინონიმებად დამკვიდრებული შედარებითი და უფროობითი ტერმინები უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან [იხ. აქვე], როგორც სხვადასხვა ხარისხის გამომხატველი ცნებები. ჩვენი თვალსაზრისით, შედარებითი ხარისხის ფორმებია ქართ. ხ-უ -- ე(-ის), ზან. უ -- ა(-შ-), სვან. ხ-

ო -- ა კონფიქსებით მარკირებული სახეობები, ხოლო უფროობითობა, რომელიც ქართულისათვის უცხოა, ცალკე (დამოუკიდებელი) სუფიქსით არის გამოხატული სვანურში. ასეთ მარკერად აქ -ილ (ხაიშური: -რუ<*-ილ) მიიჩნევა, რომელსაც გავრცელების არეალად მხოლოდ ის შემთხვევები შემორჩა, როდესაც წარმოშობით შედარებითი ხარისხის გაქვავებული (დადებითი) ზედსართავებისაგან ხელახლა იწარმოება შედარებითი ხარისხის ფორმები, შდრ.:

სვანური

ხომა „დიდი“ -> ხომ-ილ „უფრო დიდი“

ხოჩა „კარგი“ -> ხოჩ-ილ „უფრო კარგი“

ხოდრა „ცუდი“ -> ხოდრ-ილ „უფრო ცუდი“

ხონურა „პატარა“ -> ხონურ-ილ „უფრო პატარა“

ხოლა „უვარგისი, ცუდი“ -> [ხოლ-ილ], ხაიშ. ხოლ-რუ „უდრო ცუდი“

სვანურში ცალკე გამოყოფილ უფროობითი ხარისხის მაწარმოებელ -ილ სუფიქსს ზანურში -იშ(ი) -> // -შ(ი) უნდა შეესატყვისებოდეს; შდრ.:

ზანური

დიდ-ი - უ-დიდ-ა-შ-ი „უდიდესი“ - დიდ-იშ-ი „უფრო დიდი“

ჭიფე „წვრილი“ - უ-ჭიფ-ა-შ-ი „უწვრილესი“ - ჭიფე-შ-ი „უფრო წვრილი“

კუნტა „მოკლე“ - უ-კუნტ-ა-შ-ი „უმოკლესი“ - კუნტა-შ-ი „უფრო მოკლე“

ჯგირ-ი „კარგი“ - უ-ჯგირ-ა-შ-ი „უკეთესი“ - ჯგირ-ი-შ-ი „უფრო კარგი“...

სვანურსა და ზანურს შორის სხვაობა მხოლოდ დისტრიბუციაში ჩანს, ვინაიდან ამ ენებს შორის ფიქსირებული სვან. ლ : ზან. შ ბგერათმესატყვისობა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის ამოსავალ *ს არქიფონემის არსებობას ვარაუდობს, შესაბამისად, *-ის- „უფრ. ხარ. სუფ.“ რეკონსტრუქცია პროტოქართველურისთვის საფუძვლიანად გვესახება.

§3. შედარებითი ხარისხის ზედსართავი სახელის ფორმათა წარმოების სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით პირდაპირი გარღვევა იყო აკაკი შანიძის კვლევათა თვალსაჩინო შედეგი, რომელიც ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან ისტორიულ-შედარებითი ღირებულების ნაშრომში „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“ [შანიძე 1981 : 402-409]. როგორც ცნობილია, დასახელებულ ნაშრომში ავტორი მეტ (ძირითად) ყურადღებას უთმობს შედარებითი ხარისხის (ავტორის ტერმინოლოგიით უფროობითი ხარისხის) წარმოებასა და გენეზისის პრობლემას ქართველურ ენა-კილოებში.

ჩვენთვის საინტერესო ხარისხის მაწარმოებლად ქართულში უ- ე-ს კონფიქსი გვევლინება, რომლის არქაულ სახეობად გამოყოფილია ჰ-უ- ე-ს (ჰაემეტ ძეგლებში) და ხ-უ- ე-ს (ხან-მეტ ტექსტებში), ხოლო მეტად საყურადღებო უ- ე კი ვეფხისტყაოსანშია ფიქსირებული. მკვლევარმა მიუთითა ზანურ უ- ა-შ შესატყვისზე მეგრულში, რომელსაც სავსებით კანონზო-

მიერად სვანური ხ-ო- ა შეეფარდა. წარმოდგენილი სადერივაციო აფიქსები, როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკი შანიძემ საერთო წარმომავლობის გრამატიკულ ინვენტარად დასახა და აღნიშნა, რომ ისინი სახვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება; კერძოდ, ითქვა, რომ თავკიდურა ხ (/3) ძველ ქართულსა და სვანურში წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, ანუ იმ პირისა, რომელიც შედარების ობიექტს წარმოადგენს. პრეისტორიულ პერიოდში ობიექტური პირის პრეფიქსაცია ცვალებადი უნდა ყოფილიყო, - განსხვავებული პირების მიხედვით: მ-პირველ ობიექტურ პირს წარმოაჩენდა, გ- კი - მეორე, ასევე ობიექტურ პირს; ე. ი. პირიელი ფორმები ამ სახისა უნდა ყოფილიყო:

მ-ი-დიდ-ე-ის-ი „ჩემთან შედარებით დიდი, ჩემზე დიდი“

გ-ი-დიდ-ე-ის-ი „შენთან შედარებით დიდი, შენზე დიდი“

ხ-უ-დიდ-ე-ის-ი „მასთან შედარებით დიდი, მასზე დიდი“

ტენდენცია ერთგვაროვანი აღმოჩნდა ქართველურ ქვესისტემებში, უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ, განზოგადდა მესამე პირის ფორმები (ხუდიდეისი, ხუფროისი, ხუცეისი...), რომელიც დღემდე შემოგვრჩა მეტ-ნაკლები დისტრიბუციით ყველა ქართველურ ენაში, ხოლო პირველი და მეორე პირის ფორმები ბრუნვიანი სიტყვისა დაიკარგა [შანიძე 1981 : 407]. მესამე პირის ზმნურ ფორმათა განზოგადება ცნობილია სვანურიდან, შდრ. სვან. ხონ-ი „უნდა“ -> ხონ-ი „თუნდაც“, „თითქოს“ [ჭუმბურიძე 2007 : 102], ლაზურიდან - ჩხალური: მა ბჰარა უნ(ონ) „დაწერ“, სი ჰარა უნ(ონ) „დაწერ“, ემუქ ჰარას უნ(ონ) „დაწერს“... განსხვავებით ძველ-ქართულისა და სვანურისაგან, მეგრულსა და რუსთაველის პერიოდის მომდევნო ქართულში შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი პრეფიქსები (რეალურად პირის ნიშნები - ხ/3) დაიკარგა, შდრ. ქართ. ხ-უ-ც-ე-ს-ი : ზან. უ-ჩ-ა-შ-ი : სვან. ხ-ო-შ-ა...

სუფიქსური -ე-ის- დაბოლოება მოგვიანებით ორად დაიყო და -ე პრეფიქსთან ერთად ხარისხის მარკერად გამოცხადდა, ხოლო -ის კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც არ ჩანს აუცილებელი რუსთაველის ენისათვის: უ-ამ-ე, უ-არ-ე..., თანამედროვე ქართულიდან იმერული დიალექტის სოფელ ხრეთის მეტყველებაში აკაკი შანიძე ამოწმებს უ-მალ-ე „უმალ-ლესი“, უ-ხნ-ე „უხნიერესი“ ტიპის სიტყვაწარმოების ნიმუშებს, რაც იმის მაგალითადაა მოხმობილი, რომ ქართულ-ზანური (უდიდე-ს/უდიდამ-...) ალომორფები წარმოშობით ნანათესაობითარი ფორმებია. ავტორი საკუთარი მოსაზრების რეალურობას ამყარებს სვანური შესატყვისების მოხმობით, როცა ქართული ენის ე-ს შეეფარდება ბოლოკიდური -ა სვანურში (ხ-ო-ჩ-ა, ხ-ო-შ-ა...) მაშინ, როდესაც ნათესაობითის -ის ფორმანტს (ზან. -იშ//ს) სვანურში ნული შეეფარდება [შანიძე 1981 : 141].

როგორც ვხედავთ, აკაკი შანიძე საუბრობს ბოლოკიდურ ქართ. -ე და სვან. -ა მორფმათა ფუნქციურ და არა მატერიალურ შესატყვისობაზე, თუმცა არაფერს ამბობს მათ წარმოშობაზე, ეს საკითხი ავტორთან ღიად რჩება. მომდევნო ეტაპზე ქართველური შედარებითი ხარისხის განსხვავებულ ფორმათა გენეზისის პრობლემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გ. მაჭავარიანმა. მან ხარისხის ფორმათა ზმნური დერივაციის იდეა გაიზიარა და წამოაყენა ახალი დებულება იმის შესახებ, რომ სუფიქსური -ე ქართულში ზმნური აფიქსია და იგი უკავშირდება წყვეტილის ნაკვთის (აორისტის) -ე სუფიქსს ქართულში [მაჭავარიანი 1958 : 121-122]. ამგვარი მი-

დგომა არ იქნა გაზიარებული ქართველოლოგების მიერ, ვინაიდან ქართული წყვეტილის -ე სუფიქსს სვანურში იდენტური -ე შეესატყვისება, მაშინ, როდესაც შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსი ქართულში არის -ე, ხოლო სვანურში კი იგი -ა სუფიქსითაა წარმოდგენილი. ეს გადაულახავი წინააღმდეგობაა, ვინაიდან ხმოვნური ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : სვან. ა არ არის დამოწმებული ქართველურ კომპარატივისტიკაში [ჭუმბურიძე 2007 : 104].

მაშ რა შეიძლება იყოს ბოლოკიდური -ე და -ა ქართულ-სვანურში?

ჩვენი პასუხი ცალსახაა და წარმოადგენს აკაკი შანიძის ზმნური წარმომავლობის იდეის გაგრძელება-ევოლუციას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართ. ხ-უ-ც-ე- და სვან. ხ-ო-შ-ა წარმოშობით სრულად ზმნური ფორმებია, ოღონდ არა აორისტისა, როგორც ამას გივი მაჭავარიანი ვარაუდობდა, არამედ თავიანთი წარმომავლობით ისინი ქართველურ ზმნათა კარგად ცნობილი სტატიკური ფორმებია. ამას გვაფიქრებინებს ზანური მასალის ჩართვა შედარებითი ხარისხის სუფიქსაციის გენეზისის კვლევაში, კერძოდ ის სხვაობა, რასაც ვაფიქსირებთ მეგრულისა და ლაზურის ჩვენებათა შედარებითი შესწავლისას. ამისათვის მკაფიოდ ვახდენთ იმის დემონსტრირებას, რომ სტატიკურობის მარკერები მეგრულსა და ლაზურში განსხვავებულია, შდრ. მეგრ. უ-ჩქ-უ-ნ/ლაზ. უ-ჩქ-ი-ნ „იცის“; მო-ბ-მ-უ-ნ/მო-მ-მ-ი-ნ „მამევეს; მაცვია“... ზუსტად იგივე ვითარებაა შედარებითი ხარისხის ფორმათა სუფიქსებშიც, შდრ. მეგრ. უ-ჯგ-უ-შ-ი/ლაზ. უ-ჯგ-ი-შ-ი „უკეთესი“. ზედმეტი არც იმის თქმა იქნება, რომ ზმნური -ჯგ- მეგრულში უ-ჯგ-უ-ნ, ხოლო ლაზურში უ-ჯგ-ი-ნ „ჯობია“ ფორმებითაა წარმოდგენილი. ამ მიგნებით ადვილად აიხსნება -ი დაბოლოების პოვნეირება ლაზურში იქ, სადაც მეგრული დიალექტი ქართული -ე-ს კანონზომიერ -ა შესატყვისს წარმოგვიდგენს, შდრ. ქართ. უ-დიდ-ე-ს : მეგრ. უ-დიდ-ა-შ- : ლაზ. უ-დიდ-ი-შ- „უდიდესი“..., ანუ ქართ. -ე, მეგრ. -ა, ლაზ. -ი სტატიკურობის მაჩვენებელი სუფიქსებია.

სვანურიც ამასვე გვიდასტურებს, ვინაიდან სტატიკურობის -ა ნიშანი სვანურში მეტად გავრცელებულია, შდრ.: მ-აყ-ა „მყავს“, მ-ა-ჩ-ა „მეცინება“, ხ-ა-ჟახ-ა „ჰქვია“ და სხვ. ამით კი იმის თქმას ვცდილობთ, რომ, მაგალითად, ხ-ო-შ-ა „უდიდესი“ მთლიანად ზმნური ფორმაა სვანურშიც და გამოხატავს „შედარებით დიდია“-ს შინაარსს. მეგრულის -უ-ს კი, რომლისგანაც ისტორიულად ლაზური -ი მომდინარეობს (უ -> ი) შესატყვისი ეძებნება თვით ქართულშიც, როდესაც ძველ ქართულში მეტად და თანამედროვე ქართულის ორ მაგალითში შედარებითი ხარისხის სუფიქსურ ნაწილად -ო წარმოჩნდება (უ-მცრ-ო-ს-ი, უ-ფრ-ო-ს-ი, უ-ტკბ-ო-ს-ი...). ქართ. -ო : ზან. -უ ისეთივე კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობაა, როგორც ქართ. -ე : ზან. -ა (ხუც-ე-ს/უჩ-ა-შ-). სწორედ ეს -ე უნდა გამოვყოთ სტატიკურობის მარკერად ჰ-გი-ე-ს ტიპის სტატიკურ ზმნებში ქართულში, რომელიც მეტად პროდუქტიულადაა თავჩენილი უ-დიდ-ე და ა. შ. ტიპის ხარისხის ქართულ ფორმებში.

აქედან დასკვნა: შედარებითი ხარისხის ფორმები ქართველურში მთლიანად ზმნური წარმომავლობისაა, კერძოდ კი სტატიკური ზმნის პირიელი ფორმებია, რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის მარკერებით ფორმდება ქართულ-ზანურში, სვანური გაჩერდა რუსთაველისა და სოფელ ხრეთის მსგავსად და ყოველგვარი სახელური გაფორმების (მარკერის) გარეშე იტვირთა სახელური ფორმების გრამატიკული სემანტიკა.

§4. **თანაბრობითი ხარისხი.** სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, თანაბრობითი ხარისხის ფორმები მხოლოდ მეგრულშია შემონახული. იგი არ გააჩნია არც სვანურს და არც ქართულს. მეგრულში კი ამ კატეგორიის მაწარმოებელია **მა-** ა კონფიქსი.

თანამედროვე ლაზურში თანაბრობითი შინაარსის გადმომცემად მიიჩნევენ „შესადარებელ საგანზე დართულ თანდებულებს“: **კონაყ, სთერი** „ვით“, **ოხორიმკონაყ(სთერი)** მჩხუ დივი „სახლივით მსხვილი დევი, სახლის სიდიდის დევი“, **ქუქირისთეი** მსქვა კულანი „ყვავილის სილამაზის გოგო“ [დანელია 2006 : 119]

ოდესღაც ლაზურსაც უნდა ჰქონოდა თანაბრობითი ხარისხი, – წერს კ. დანელია და ამის ნიმუშად მოჰყავს მაგალითები: **მაპეჯანა**: „ოთხო კითიმ **მაპეჯანა** ფიცარიში იქიფან ბალუ „ოთხი თითის სისქის ფიცრის ბელელს აკეთებენ“ (ჩიქ., 1, 148). **მაპეჯანა** ნაწარმოებია **პეჯ-ი** (= „სქელი“) სიტყვისაგან: **მა-პეჯ-ან-ა** (შდრ. **მა-შხვ-ა**) „სიმსხო“... **მა-მაჩხვარ-ა**: ემუშ მამაჩხვარა „იმის სიმსხო“ [დანელია 2006 : 119].

ანუ ზემოთ აღწერილი ორი ფორმის ურთიერთშედარებით გამოდის, რომ **მა-** ა, **მა-** ან-ა, **მა-** არ-ა დღესაც მოქმედი წარმოებია.

თანაბრობითი ხარისხის წარმოების ნიმუშები მეგრულიდან:

მა-სქვამ-ა = ისე ლამაზი, როგორც (შდრ. სქვამი „ლამაზი“);

მა-გირმ-ა // მა-გინმ-ა = ისე გრძელი, როგორც (შდრ. გინძე// გირძე „გრძელი“);

მა-კუ[ნ]ტ-ა = ისე მოკლე, როგორც (შდრ. კუ[ნ]ტა „მოკლე“);

მა-ჭიფ-ა = ისე წვრილი, როგორც (შდრ. ჭიფე „წვრილი“);

მა-შხვ-ა = ისე მსხვილი, როგორც (შდრ. შხუ „მსხვილი“);

მა-რჩელ-ა = ისე თეთრი, როგორც (შდრ. რჩელა//რჩე//ჩე „თეთრი“);

მა-რჩხელ-ა = ისე ცხელი, როგორც (შდრ. რჩხელი//ჩხე „ცხელი“)... [ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015 : 210-212].

ქართულში, როგორც აღინიშნა, არა გვაქვს მეგრულისთვის დამახასიათებელი თანაბრობითი ხარისხის ფორმები: **მა-შხვ-ა** = ისე მსხვილი, როგორც... **მა-გინმ-ა** = ისე გრძელი, როგორც... ისტორიულად მსგავსი თანაბრობითი ზედსართავები, გ. როგავას აზრით, ქართულსაც უნდა ჰქონოდა, რომელთა აწ უკვე რედუცირებული, თანაც, გაქვავებული ფორმებია **მ-** ე კონფიქსიანი ზედსართავი სახელები: **მ-წარ-ე, მ-ჟავ-ე, მ-ლაშ-ე, მ-ძიმ-ე, მ-ჩატ-ე, მ-ტვიც-ე** და სხვ.

გიორგი როგავას მართებული დაკვირვებით, მისი თვალსაზრისი გამყარებულია თანაბრობითის **მა-** ა, **მა-** ან-ა აფიქსების გამოყენებით სხვა ფუნქციითაც: რიცხვითი სახელების, კერძოდ, რიგობითების წარმოებისას ზანურში თანაბრობითი ხარისხის მაწარმოებელი **მა-** ა კონფიქსი მეორდება/ემთხვევა რიგობით რიცხვით სახელთა ასევე კონფიქსურ ფორმათწარმოებას, შდრ.: ზან. **მა-სუმ-ა** = ქართ. **მე-სამ-ე** = **მე-სმ-ე**... ის, რაც ცოცხალი დერივაციაა მეგრულში ემთხვევა ამოსავალ (ფუძეენურ) ვითარებას [როგავა 1958 : 99-108].

§4. **ოდნობითი ხარისხი.** საყურადღებო ჩანს სვანურში ოდნობითი ხარისხის **-არა** (სგელ-არა „მოსქელო“...) სუფიქსური წარმოება, რაც ქართულსა და მეგრულში თავჩენილი **/მო- -ო/ : /მო- -ე/** (მო-შავ-ო – მო-ურ-ე) კონფიქსური დერივაციისაგან მატერიალურად აბსოლუტურად განსხვავებული ჩანს. მისი წარმომავლობის დადგენის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას

იპყრობს ლაზური მასალა, სადაც სვანური -არა სუფიქსის ზუსტი შესატყვისი გამოვლინდა: მო-//დო- -ორა. ლაზურში დადასტურდა არც თუ ისე იშვიათი დერივაციის ალომორფები: მო-გინმ-ორა/დო-გინმ-ორა „მოგრძო“, მო-მჭით-ორა/დო-მჭით-ორა „მოწითალო“, მო-მჭუტ-ორა/დო-მჭუტ-ორა „მომცრო, მოპატარავო“...

ლაზურის შემთხვევაში ისიც არის საინტერესო, რომ თავკიდურ პოზიციაში ვითარება ქართულ-მეგრულისებურია, ზმნისწინი გამოიყენება, ხოლო ბოლოკიდურა აფიქსი სვანურისას ემთხვევა და საერთოქართველური ფუძეების *-არა მორფემას ასახავს.

ლაზურის ამგვარ ემპირიულ ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სვანურში საერთოქართველური წარმომავლობის ხარისხისა და ზმნისწინთა გენეზისის კვლევის კუთხით, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სვანურში ზმნისწინთა წარმოების სისტემა განსხვავებულია ქართულ-ზანურისაგან როგორც მატერიალურად, ისე სტრუქტურულ-ფუნქციურად. აქ დღემდის არ იძებნება ქართ.-ზან. მი-/მა- // მო-, და-/დო- და სხვ. სახეობის ზმნისწინები. თუმცა ისტორიულად მათი არსებობა დასაშვებია სვანურისათვის; ამით იმის თქმა გვსურს, რომ სვანურის ვითარება მეორეულია, ზმნისწინთა სისტემა სვანურში დროთა განმავლობაში გამარტივდა. და რომ აქაც იყო პოვნური, მაგალითად, მე- // მე- (ქართ. მა- → // მო, ზან. მო- → // მუ-) ზმნისწინი, კარგად გამოჩნდება ოდნაობითი ხარისხის ფორმებში, სადაც ქართულისებური დერივაცია ჩანს ძირითადი. სვანური თვეთვნე „თეთრი“ → მე-თთვენ-ა = მო-თეთრ-ო; მეშხე „შავი“ → მე-მშხ-ა = მო-შავ-ო; წერნი „წითელი“ → მე-წრგნ- = მო-წითელი; სგელი „სქელი“ → მე-ნსგლ-ა = მო-სქელი; მეგრე „მსხვილი“ → მე-ნგრ-ა = მო-მსხვილი; დეტხელ „თხელი“ → მე-დეტხლ-ა = მო-თხელი-ო... როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულის მო- ე/-ო (ძვ. ქართ. მო-ე) კონფიქსებს სვანურში მე-/მე- ა ასევე კონფიქსები შეესატყვისება, რომელთა პირველი სეგმენტის ზმნისწინური წარმომავლობა უდავოა, გამომდინარე იქიდან, რომ მას ქართულში წა- (ხოლო ლაზურში დო- „და-“) მარტივი ზმნისწინი თავისუფლად ჩაენაცვლება: მო-წითალ-ო / წა-წითალ-ო, ლაზ. დო-მჭით-ორა "id"...

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთოქართველურ ფუძეებში ზემოთაღწერილი ყველა ხარისხის ფორმა საკუთარი მარკერებით იყო წარმოდგენილი და წინაპარი ენისთვის შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით შესაძლებელია უფრო რთული ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქცია, სადაც (რომლის შიგნითაც) ფუნქციონირებდა შემდეგი ხარისხის ფორმები: დადებითი (ნეიტრალური), უფროობითი (*-ის, სვან. -ილ), ოდნაობითი (*-არა), თანაბრობითი (*მე- ე), შედარებითი (*უ- ე), აღმატებითი (*მა- ე).

დიდი ალბათობით, გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება ის ფაქტიც, რომ, გარდა ოდნაობითისა, ყველა სხვა გარკვეული ნიშნით მარკირებული ხარისხის ფორმა კონფიქსური წარმოებისაა და ყოველი მათგანის მეორე (ბოლოსართულ) წევრად -ე სუფიქსი მეორდება.

ლიტერატურა

დანელია - კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006, გამომცემლობა „უნივერსალი“

მაჭავარიანი - გივი მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში; თსუ შრ., ტ. 71 (ფილოლ. მეცნ. სერია I); თბ., 1959

როგავა - გიორგი როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში; იკე, ტ. IX-X; თბ., 1958; გვ. 99-109

ქავთარაძე - ივანე ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში; საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954

ქირია... - ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გარამატიკა, 1. მორფოლოგია, თბ., 2015, გამომცემლობა „მერიდიანი“

შანიძე - აკაკი შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თხზ. ტ. IV; თბ., 1981

ჭუმბურიძე - ზურაბ ჭუმბურიძე, სვანური ენა; თბ., 2007